უბედურება, სახელად ომი

გიორგი ცქიტიშვილი

საკვანძო სიტყვები: *ომი, ჟან ჟიროდუ, არისტოფანე, მეორე მსოფლიო ომი, დანაშაული*

განმანათლებლობის ეპოქის (XVIII საუკუნე) ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფრანგი მოაზროვნე, პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, დრამატურგი, ვოლტერი (1694-1778) აღნიშნავდა, რომ ომი ერთდროულად უბედურებაცაა და დანაშაულიცო. ალბათ, ამ ძალზე ლაკონურ გამონათქვამში ამომწურავადაა ამოხსნილ-შეფასებული ომის არსი. თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ვერცერთ ეპოქაში კაცობრიობამ ვერ მოახერხა ამ დამანგრეველი ძალისა და შედეგის მქონე გლობალური კატასტროფის, აპოკალიფსის სრულად თავიდან აცილება. ყოველივე ამან კი რა მსხვერპლი, ნგრევა მოიტანა, მეტ-ნაკლებად ესეც ყველასთვის ცნობილია.
ნაშრომში საუბარია იმაზე, რომ ეს პრობლემა ყველა ეპოქაში აქტუალური გახლდათ. ბუნებრივია, იგი თეატრის მოღვაწეებსაც აღელვებდათ. ამის სამაგალითოდ, ავტორი საუბრობს ორ პიესაზე, რომლებიც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაშია შექმნილი. ესენია: ანტიკური ბერძნული კომედია „ლისისტრატე“, ავტორი არისტოფანე (დაბადებული დაახლოებით, ძველი წელთაღრიცხვის 446, გარდაცვლილი 387-სა და 380 წლებს შორის) და ფრანგული ინტელექტუალური დრამა „ტროას ომი არ იქნება“, ავტორი ჟან ჟიროდუ (1882 -1944) მხოლოდ ამ ორი მაგალითითაც ნათელია, თუ რამდენად საჭირბოროტო, აქტუალური იყო ომისა და მშვიდობის თემა ყველა ეპოქაში. როცა ომი სამყაროს გრიგალივით გადაუვლის, შედეგად მხოლოდ ნანგრევები და სასაფლაოები არ გვრჩება. არანაკლებ ტრაგიკულია ის ჭრილობები, რომლებსაც იგი ცოცხლად გადარჩენილებს გულსა და ტვინში უტოვებს. ბევრი მათგანი ამ სინდრომს მთელი სიცოცხლე თავს ვერ აღწევს.

„ეესაძლებელია თუ არა ომის თავიდან აცილება? – ასე პირდაპირ სვამს კითხვას ჟიროდუ და ცდილობს ირწმუნოს, რომ მხოლოდ თითოეული ადამიანის პირადი პასუხისმგებლობა და აქტიური ბრძოლა გამოიღებს შედეგს და კაცობრიობას მშვიდობას შეუნარჩუნებს...“[1]
ალბათ, ეს ერთ-ერთია იმ მარადიული კითხვებიდან, რომლებიც თავისი არსებობის დასაბამიდან დღემდე თან სდევს ადამის მოდგმას. ინტელექტუალები, მოაზროვნეები უამრავ არგუმენტს მოუხმობენ, რათა ამ კითხვას დადებითად გასცენ პასუხი; მაგრამ, კაცობრიობის ისტორიას ღრმა კვლევის გარეშე, ე.წ. შეუიარაღებელი თვალით, ზერელედ თუ გადავხედავთ, უდავოდ უარყოფით პასუხს მივიღებთ. სამწუხაროდ, მაგალითები ძალზე უხვადაა. თითქმის ვერცერთ საკვანძო, გადამწყვეტ მომენტში, გლობალური კატასტროფის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. ადამიანის ამქვეყნად არსებობის ყველა ეტაპზე (ყველა ეპოქაში), მასშტაბური სამხედრო კონფლიქტი სახეზეა. სულერთია, საერთაშორისო, ე.წ. მსოფლიო დაპირისპირებაზეა საუბარი თუ ლოკალურ, შიდა ბრძოლებზე (სამხედრო გადატრიალება, რევოლუცია, სამოქალაქო ომი...). როგორც ჩანს, ჩვენ ამის გარეშე არ შეგვიძლია.

„...არისტოფანეს კომედია ათენელი ქალის, ლისისტრატეს ამბავს მოგვითხრობდა, რომელმაც გაჭიანურებული ომების გამო ქალები შეკრიბა და ქალაქში მშვიდობის დამყარების ერთობ უცნაური გზა აირჩია: ქალები აკროპოლისში გამოკეტა და კაცებთან ურთიერთობა საერთოდ აუკრძალა. საბოლოოდ, ეს პატარა „გენდერული ამბოხი“ წარმატებით დაგვირგვინდა...“[2] მაგრამ ეს მხოლოდ პიესაში, თანაც კომედიაშია შესაძლებელი. რეალურ ცხოვრებაში ასეთი რამეები არ ხდება. როგორც ვხედავთ, ომისაგან თავის დახსნა ადამიანებს ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში უცდიათ. საა-

1 ღოღობერიძე, ჟან ჟირადუს, 1989, გვ. 29.
2 ბუხრიკიძე, რაც დედებს უნდათ, 17.12. 2015.

მისოდ არისტოფანეს[3] პიესაც კი დაუწერია. ანუ, ომისა და მშვიდობის პრობლემა, როგორც ჩანს, კაცობრიობისათვის უხსოვარ დროშიც აქტუალური ყოფილა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში ჩვენთვის უმთავრესი და მნიშვნელოვანია ადამიანის წინაშე მდგარი გლობალური გამოწვევის, ერთგვარი აპოკალიფსის თეატრალურ ხელოვნებაში გამოძახილი. როგორც ვხედავთ, დრამატურგიაში ეს თემა, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში იჩენს თავს. მკვლევართა აზრით, კომედია „ლისისტრატე", სავარაუდოდ, ძველი წელთაღრიცხვის 411 წელს უნდა იყოს დაწერილი. გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორებიც. ომისა და მშვიდობის თემა უფრო ადრინდელი ბერძენი დრამატურგების შემოქმედებაშიც (ტრაგედიები) გვხვდება.

თუმცა, ძალზე უჩვეულო, გონებამახვილური და ამავე დროს ექსტრავაგანტურია არისტოფანეს პიესის უმთავრესი ინტრიგა. ეს გახლავთ ქალების, თუ შეიძლება ასე ითქვას, სექსუალური გაფიცვა უსასრულოდ გაგრძელებული, დაუსრულებელი ომის რამენაირად შესაჩერებლად. ამ უჩვეულო, მანამდე არნახულ-გაუგონარი აქციის წამოწყება-განხორციელებაში, ათენელ ლისისტრატეს მხარში სპარტელი ლამპიტო უდგას. ამ ქმედებით მათ სურთ მეომარი ქმრები, საყვარლები, საქმროები გამოაფხიზლონ, გონს მოიყვანონ. საბოლოოდ კი სისხლისღვრაზე უარი ათქმევინონ. თუმცა, დრამატურგი გვიჩვენებს, რომ არც ამ წამოწყებაშია სრული ერთიანობა. ზოგიერთ ქალს სულაც არ სურს თავის კაცს ალერსზე სასტიკი უარი უთხრას. აკროპოლისში გამაგრებული ლისისტრატე, ლამპიტოსთან ერთად, ძლივს აკავებს ვნებააშლილ ქალებს.

მკვლევრების აზრით, არისტოფანეს ე.წ. ცარიელ ადგილას არ შეუქმნია თავისი ნაწარმოები. პიესის დაწერამდე ერთი თუ ორი წლის წინ, ათენელებმა და მათმა მოკავშირე სხვა ქალაქ (პოლისი) სახელმწიფოებმა მოწინააღმდეგეებთან ომში დიდი დანაკლისი განიცადეს. „სიცილიურ ექსპედიციად" მონათლული საბრძოლო ოპერაცია ფიასკოთი, კრახით დასრულდა. ათენელებმა თავიანთი სახმელეთო ძალებისა და საზღვაო ფლოტის ნახევარზე მეტი დაკარგეს; თითქმის სულ დაცარიელდა ათენის ხაზინა... ანუ დაიღუპა უამრავი ადამიანი, განადგურდა არაერთი დასახლებული პუნქტი, მნიშვნელოვანი, საგრძნობი დარტყმა მიიღო ეკონომიკამ... დაუმთავრებელ ომს კი მაინც არ უჩანდა ბოლო... აი, სწორედ ამ დროს შექმნა არისტოფანემ კომედია „ლისისტრატე", რომლის მეშვეობითაც მიმართა თავის თანამოქალაქეებს; როგორც უბრალო ხალხს, ისე ხელისუფლებას, მმართველ ელიტას. მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია!.. – ასე ჟღერდა დრამატურგის, კომედიოგრაფის მოწოდება. უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ადრეული მაგალითია იმისა, თუ როგორ ხმამაღლა, გაბედულად აფიქსირებდნენ თავიანთ ადამიანურ პოზიციას სხვადასხვა დროისა თუ ეპოქის თეატრალური მოღვაწენი.

„ჟიროდუ ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმ ფრანგ ხელოვანთა შორის, რომლებმაც გერმანიის პოლიტიკაში ცვლილება დაინახეს. „ზიგფრიდის" ციკლში (რომანი „ზიგფრიდი და ლიმუზენი", პიესა „ზიგფრიდ ფონ კლაისტის" ორი ვარიანტი) ჟიროდუ მოსალოდნელი ომის საშიშროებას წინასწარმეტყველებს და აქტიურად ებრძვის ომს, ძალადობასა და ფანატიკურ შოვინიზმს... ჟიროდუ ცდილობს დაამტკიცოს, რომ კულტურისა და ცივილიზაციის ერთიანობა შესაძლებელია..."[4]

ეს უკვე XX საუკუნის პირველი ნახევრის საფრანგეთში ხდება, ჟან ჟიროდუს[5] შემოქმედებაში. ამ მწერლისა და მოაზროვნისათვის, ისევე როგორც ე.წ.

3 ძველბერძენი პოეტი, დრამატურგი, კომედიოგრაფი. მკვლევართა აზრით, ის ჩვენს წელთაღრიცხვამდე (ანუ ქრისტესშობამდე) დაახლოებით 446 წელს უნდა დაბადებულიყო. ასევე, დაუდგენელია მისი გარდაცვალების ზუსტი, უტყუარი თარიღი. ისტორიკოსთა ვარაუდით, ეს ასევე ძველი წელთაღრიცხვის 387-სა და 380 წლებს შორის უნდა მომხდარიყო. აქედან გამომდინარე, არისტოფანე ძველი წელთაღრიცხვის V-IV საუკუნეებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ბუნებრივია, ჩვენამდე სრული სახით ყველა მის თხზულებას არ მოუღწევია. ჩვენთვის ცნობილია, რომ იგი ავტორია შემდეგი კომედიების: „მხედრები", „ღრუბლები", „ფრინველები", „ლისისტრატე", „ბაყაყები" და სხვების.

4 ღოღობერიძე, ჟან ჟიროდუს, 1989, გვ. 28.

5 ფრანგი მწერალი, დიპლომატი (1882-1944). პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მონაწილე. საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოს მფლობელი- საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი. მისი პროზიდან შეიძლება გავიხსენოთ შემდეგი ნაწარმოებები: „პროვინციელი ქალები" (1909), „ჟაკ-ეგოისტი" (1910), „გულგრილთა სკოლა" (1911), „ზიგფრიდი და ლიმუზენი" (1922), „მატყუარა ქალი" (გამოქვეყნდა მწერლის გარდაცვალების შემდეგ, 1958). მის კალამს ეკუთვნის შემდეგი პიესები: „ზიგფრიდი" (1928), „ამფიტრიონი - 38" (1929), „ივდითი" (1931), „ინტერმეცო" (1933), „ტროას ომი არ იქნება" (1935), „პარიზული ექსპრომტი" (1937), „ელექტრა" (1937), „სიმღერათა სიმღერა"

ფრანგული ინტელექტუალური დრამის სხვა წარმომადგენლებისათვის, დამახასიათებელია ანტიკურ მემკვიდრეობასთან მჭიდრო სულიერი კავშირი; ძველი ბერძნული მითების, თქმულებების, ლეგენდების მოტივებზე საკუთარი, ორიგინალური თხზულების შექმნა, სადაც, ერთი შეხედვით, საყოველთაოდ ცნობილი, მოარული ამბავი, ავტორის ნებით, სრულიად ახლებურ ჟღერადობას იძენს. ჟიროდუ ცდილობს მკითხველისა თუ მაყურებლის ყურადღება ზნეობრივ პრობლემებს მიაპყროს. არცთუ იშვიათად, მის მიერ შექმნილ ნაწარმოებებში აქტუალური პოლიტიკური საკითხები იჩენს თავს. მწერალი ძალაუფლებისაკენ ადამიანთა ლტოლვაზეც ამახვილებს ჩვენს ყურადღებას. „... ჟიროდუ თეატრის დანიშნულებად თვლის ადამიანისათვის სილამაზისა და ბედნიერების თუნდაც ილუზიის შექმნას და ამით რამოდენიმე წუთით მაინც ყოველდღიური უბედურებებისა და განსაცდელის მოცილებასა და შემსუბუქებას“.[6]

პიესა „ტროას ომი არ იქნება“ 1935 წელსაა დაწერილი, ანუ მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) დაწყებამდე სულ რაღაც 4 წლით ადრე. ჟიროდუ კარგად აცნობიერებს, რომ სამყარო ენითაუწერელი დამანგრეველი ძალის მქონე გლობალური კატასტროფის, შეუქცევადი აპოკალიფსის წინაშე დგას. ერთი შეხედვით, ამ პიესაში მოქმედება ანტიკურ ეპოქაში ვითარდება. თუმცა, იმდენად შთამბეჭდავია თანამედროვეობასთან პირდაპირი პარალელი, ეჭვი აღარავის ეპარება უდავო ჭეშმარიტებაში – ძველი ტროა ისევე დგას ომის დაწყების გარდაუვალი საშიშროების წინაშე, როგორც 1930-იანი წლების ჟიროდუს დროინდელი საფრანგეთი. „ცნობილია, რომ ფრანგული ინტელექტუალური დრამის ერთ-ერთი ზოგადდამახასიათებელი თვისებაა ანტიკური სიუჟეტებისადმი ინტერესი, რაც სავსებით ბუნებრივია თუ გავითვალისწინებთ საყოველთაო ყურადღებას, რომელსაც XX საუკუნის ლიტერატურა მითის მიმართ იჩენს. განსხვავებით რომანისტებისაგან, რომლებიც თავად ქმნიდნენ მითს, ფრანგი დრამატურგები მიმართავდნენ არა მითის პოეტიზაციას, არამედ მის მოდერნისტულ გადაკეთებას. ანტიკური მითი მათთვის მუდმივად ცოცხალი საწყისი და უნივერსალური სიმბოლური სქემაა, რომელსაც შეიძლება მიეცეს თანამედროვეობისათვის დამახასიათებელი აზრობრივი დატვირთვა და ფორმა...“[7]

ინტელექტუალური დრამისათვის საერთოდ დამახასიათებელია მოქმედ პირთა შორის გამართული მწვავე დისპუტის უმთავრეს მოვლენად ქცევა. ამ კამათისას, მაყურებლის თვალწინ, ინტერესთა, პოზიციათა უკომპრომისო ურთიერთდაპირისპირება-შეჯახების სურათი იშლება. ორივე მხარეს საკუთარი, მყარი არგუმენტები გააჩნია ხოლმე, რათა თავისი სიმართლე დაამტკიცოს. ჟიროდუს პიესაში „ტროას ომი არ იქნება“, მითოლოგიური პერსონაჟი, ჰექტორი,[8] რომელსაც ჰომეროსის[9] „ილიადაშიც“ ვხვდებით, ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გარდაუვალი ომი ააცილოს

(1938), „უნდინა“ (1939), „გრაკხუსები“ (1941), „შეშლილი ქალი შაიოდან“ (1942), „სოდომი და გომორა“ (1943). ჟიროდუს სცენარების მიხედვით გადაღებულია რამდენიმე ფილმი, მათ შორის „ცოდვის ანგელოზები“ (1943).

6 ღოღობერიძე, ჟან ჟიროდუს, 1989, გვ. 17.

7 იქვე, გვ. 24,25.

8 ტროას მეფის, პრიამოსის უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე. სხვათა შორის, ჰექტორი, ძველბერძნულად „მპყრობელს“ ნიშნავს. ტროას მითიურ-ლეგენდარული ომის ერთ-ერთი გამორჩეული, მამაცი მეომარი, სარდალი. სწორედ ის ედგა სათავეში ტროას ჯარსა (10 000 ჯარისკაცი) და მის მოკავშირეთა ლაშქარს, სადაც დაქირავებული მებრძოლებიც ბლომად იყვნენ (40 000 მეომარი). მათ უპირისპირდებოდა მომხდურთა, ბერძენთა 100 000-იანი ჯარი, აგამემნონის სარდლობით. გადმოცემის თანახმად, ჰექტორი, გარდა იმისა, რომ დიდი ფიზიკური ძალის მქონე, გოლიათური აღნაგობის გმირი იყო, ამასთან მას გამჭრიახი გონება და სტრატეგიული ნიჭიც ჰქონია. სწორედ ამის გამო, მისი მეთაურობით, ტროელებმა (დამხმარე ძალებთან ერთად) შეძლეს წინ აღდგომოდნენ რიცხვით მათზე ბევრად აღმატებულ მტერს. ამ უთანასწორო ბრძოლაში, მათ არა მარტო მოახერხეს 9 წლის განმავლობაში დაეცვათ თავიანთი ქალაქი-სახელმწიფო, არამედ არაერთხელ გადავიდნენ კონტრიერიშზე და თუ ჰომეროსს ვენდობით, 31 000-მდე ბერძენი ჯარისკაცი გამოასალმეს სიცოცხლეს. ჰექტორის დედა გახლდათ ჰეკუბა; ძმები: პარისი, დეიფობოსი და ჰელენუსი; დები: კრეუსა, ლაოდიკა, პოლიქსენა, კასანდრა, ილიონა; ცოლი: ანდრომაქე; შვილები: ასტიანაქტუსი, ოქსონიუსი, ლაოდამასისი, ამფინიუსი. ჰექტორმა მოკლა აქილევსის მეგობარი პატროკლე. სწორედ ამის გამო გამოიწვია იგი აქილევსმა ორთაბრძოლაში. მხოლოდ ღმერთების დახმარებით მოახერხა მოწინააღმდეგემ ჰექტორის მოკვლა. შემდეგ, თავის საომარ ორთვალას გამოაბა და დიდხანს ათრია მისი გვამი აქილევსმა.

9 ძველი ბერძენი პოეტი - მთხრობელი (ძველი წელთაღრიცხვის IX-VIII საუკუნეები), ლეგენდარული ეპიკური პოემების: „ილიადასა“ და „ოდისეას“ ავტორი. მკვლევართა აზრით, სავარაუდოდ, რაფსოდი (კლასიკურ

მშობლიურ ტროას. არადა, მას უამრავი მოწინააღმდეგე ჰყავს. იგი უპირისპირდება ცრუ პატრიოტიზმით საომრად აღტკინებულ თანამოქალაქეებს, რომელთაც მყარად სწამთ, ტროა აუცილებლად უნდა ჩაებას ბერძნებთან ომში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი ღირსება შეილახება. ხოლო, ის ვინც სხვანაირად ფიქრობს, უეჭველად მშიშარა, ლაჩარი და სამშობლოს მოღალატეა. მაგრამ, ჰექტორი უკან არ იხევს. ბერძენთა ელჩთანაც კი ცდილობს საერთო ენის გამონახვას. მისი პოზიცია ბოლომდე ვერც ოჯახის წევრებს გაუგიათ. ამ უთანასწორო ბრძოლაში, ჰექტორი აბსოლუტურად მარტოა. იტანს უამრავ შეურაცხყოფას, რადგან იცის, მშვიდობას ალტერნატივა არ გააჩნია; ომი სამუდამოდ დაასამარებს მის მშობლიურ ტროას; თავის თანამემამულეებში მხოლოდ მას აქვს მთელი სიგრძე-სიგანით გაცნობიერებული, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ომის დაშვება.

„ომი არის უბედურება და დანაშაული, რომელიც მოიცავს ყველა უბედურებასა და ყველა დანაშაულს!..“[10] – ეს სიტყვები ვოლტერს[11] ეკუთვნის. ვფიქრობ, მათში ძალზე ლაკონურად, მაგრამ ამავე დროს, ამომწურავადაა შეფასებული ის მოვლენა, რასაც კაცობრიობა ომს უწოდებს. მართლაც, ადამიანებისთვის ის ერთდროულად უბედურებაცაა და ამავე დროს, საზოგადოების წინაშე ჩადენილი დანაშაულიც. წინასწარ თითქმის წარმოუდგენელიც კია მისი შედეგების განსაზღვრა-ამოცნობა. ვგულისხმობ, როგორც ჰუმანიტარულ, ისე მატერიალურ-ეკონომიკურ კატასტროფას. როცა ომი სამყაროს გრიგალივით გადაუვლის, შედეგად მხოლოდ ნანგრევები და სასაფლაოები არ გვრჩება. არანაკლებ ტრაგიკულია ის ჭრილობები, რომლებსაც იგი ცოცხლად გადარჩენილებს გულსა და ტვინში უტოვებს. ბევრი მათგანი ამ სინდრომს მთელი სიცოცხლე თავს ვერ აღწევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბუხრიკიძე დ., რაც დედებს უნდათ, ჟურნალი „ლიბერალი“, 17.12.2015.
- ჟურნალი „გზა“, №18, 05.05.2022.
- ღოღობერიძე ი., ჟან ჟიროდუს ინტელექტუალური თეატრი, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე - თანამედროვე დასავლური დრამა (ჟან ჟიროდუ, ედუარდ ოლბი, ედუარდ ბონდი), ნიკო ყიასაშვილის რედაქციით, თბილისი, 1989.
- ჭავჭავაძე ი., ახალი დრამების გამო, წერილები თეატრზე, თბ., 2021.

საბერძნეთში ეპიკური პოემების პროფესიონალი შემსრულებელი) უნდა ყოფილიყო. რაფსოდ-აედები მოგზაური პოეტ-მომღერლები იყვნენ, რომლებიც ხალხის წინაშე საჯაროდ ასრულებდნენ ჰეროიკულ ეპოსს. ამ დროს, მუსიკალურ ინსტრუმენტთა, საკრავთა თანხლებით, გამოიყენებოდა მხატვრული კითხვა, სიმღერა. ეს გახლდათ, ერთგვარი თხრობა-გათამაშება.

10 ჟურნალი „გზა“, №18, 05.05.2022, გვ. 16.

11 მისი ნამდვილი სახელი და გვარია, ფრანსუა მარი-არუე (1694-1778), ფრანგი ფილოსოფოსი, განმანათლებელი, პოეტი, პროზაიკოსი, სატირიკოსი, პუბლიცისტი, ტრაგიკოსი, ისტორიკოსი. ფსევდონიმ ვოლტერის უტყუარი წარმომავლობა დღემდე არავინ იცის. მკვლევრები მისი წარმოშობის სხვადასხვა ვერსიას განიხილავენ. დაწერილი აქვს 28 ტრაგედია, მათ შორის: „ოიდიპოსი“ (1718), „ბრუტუსი“ (1730), „ზაირა“ (1732), „კეისარი“ (1735), „ალზირა“ (1736), „მუჰამედი“ (1741), „მეროპა“ (1743), „სემირამიდა“ (1748), „გადარჩენილი რომი“ (1752), „ჩინელი ობოლი“ (1755), „ტანკრედი“ (1760). ავტორია არაერთი ფილოსოფიური თხზულებისა, მათ შორის აღსანიშნავია: „ზადიგი“ (1747), „კანდიდი“ (1759), „ტრაქტატი ტოლერანტობის შესახებ“ (1763), „რა მოსწონთ ქალბატონებს?“ (1764), „ფილოსოფიური ლექსიკონი“ (1764), „ბაბილონის მეფის ასული“ (1768). ცნობილია, რომ ვოლტერი უზომოდ იყო გატაცებული ჭადრაკის თამაშით.

DISASTER CALLED WAR

George Tskitishvili

Keywords: *War, Jean Giraudoux, Aristophanes, WW2, crime*

Voltaire (1694-1778), one of the most famous French thinkers, poet, prose writer, publicist, philosopher, historian, dramatist of the Age of Enlightenment (18th century), noted that war is both a misfortune and a crime. Perhaps, in this very concise expression, the essence of the war is fully explained and evaluated. In the centuries-long history of its existence, at no time has mankind been able to completely avoid the apocalypse, a global catastrophe of such devastating force and consequence. What sacrifices and destruction all this has brought, more or less this is known to everyone.

The article talks about the fact that this problem has become relevant in all eras. Naturally, he was also excited by the theatre workers. As an example of this, the author talks about two plays that were created at different times and in different countries. These are: the ancient Greek comedy "Lysistrates" by Aristophanes (born about 446 BC, died between 387 and 380 BC) and the French intellectual drama "There will be no Trojan War" by Jean Giraud (1882 - 1944). yr.). Only with these two examples is it clear how urgent and relevant the topic of war and peace was in all eras. When war sweeps the world like a whirlwind, we are left with nothing but ruins and cemeteries. No less tragic are the wounds it leaves in the heart and brain of the survivors. Many of them do not overcome this syndrome for the rest of their lives.

"Is it possible to prevent a war?" Giraudoux is asking a straightforward question and trying to believe that only a personal responsibility of every single human and active battle will have a result and keep humanity peaceful...."[1] Must be one of those eternal questions, which have been following mankind since the beginning of its existence till this day. Intellectuals, thinkers call on many arguments to give this question a positive answer; but, if we look at the history of humanity on the surface, without taking a deep dive, we will definitely receive a negative one. Unfortunately, the examples are too many. In almost all critical moments a global catastrophe could not be avoided. At every step (every era) of human existence on earth, a massive armed conflict has occurred. No matter if we are speaking about a worldwide dispute or local battles within a country (a coup, revolution, civil war), it seems like we are unable to live without it.

"Aristophanes' comedy was telling us a story of Lysistrata, a woman from Athens who gathered women because of endless wars and chose a quite unusual method to bring peace to the city: she locked women up in the acropolis and prohibited them from having any contact with men at all. At last, this little Riot of a Gender ended successfully...."[2] But this is only possible in a play, especially, a comedy. Such things do not happen in real life. As we see, people were trying to escape wars even in ancient times. For this, Aristophanes[3] even wrote a play, so it seems that the problem of war and peace was relevant for humanity a long time ago. Consequently, we may conclude what is the most important to us in this case: the echoes of a global challenge, an apocalypse standing against a human, in theatre. It is clear to us that this topic emerged in dramaturgy as early as the 5th century B.C. Researchers believe that Lysistrata must have been written in 411 B.C. We must also take the following into consideration: the themes of war and peace can be

1 Ghoghoberidze, Jean, Essays. Tbilisi, 1989. Page 29.

2 Bukhrikidze, journal, 17.12.2015.

3 Ancient Greek poet, comic playwright. Researchers suggest that he was born approximately in the year 446 B.C. Also, the correct, official date of his death is unknown. historians think that it happened somewhere between 387-380 B.C. Therefore, Aristophanes lived and worked during the 5th-4th centuries B.C. Of course, not every writing made by him managed to survive and reach us in the original complete form. It is known to us that he wrote the following comedies: *The Knights*, *The Clouds*, *The Birds*, *Lysistrata*, *The Frogs*, and others.

found in the works (tragedies) of other Greek playwrights who lived earlier.

But the main intrigue of Aristophanes' play is quite unusual, witty and extravagant. This is what can be labeled as a sexual strike of women to somehow stop a seemingly endless, long-standing war. Lampito from Sparta is helping Lysistrata start and implement this unusual protest that has never been seen or heard of before. By doing this, they are trying to awaken, bring some sense into their warrior husbands, lovers, fiancés. And finally make them refuse to continue this massacre. But the playwright shows us that there is no complete unity in this initiative. Some women do not want to stay away from their men and stop them from caressing them. Fortified in the acropolis, Lysistrata and Lampito are barely able to hold back there sexually aroused women.

Researchers think that Aristophanes did not make up this story. A couple of years earlier, the people of Athens and their allied city-states (polices) suffered a great loss in a war against their enemies. The military operation labeled as The Sicilian Expedition ended up in a failure, a fiasco. Athenians lost more than half of their troops and navy. Athens' treasury became nearly empty, many people died, several populated areas were destroyed, the economy suffered a serious inflict. This is when Aristophanes wrote the comedy Lysistrata, with which he addressed his co-citizens, the general public as well as the government, the ruling elite. Peace has no alternative! This was what the playwright, comic playwright had to say. Notably, this is one of the earliest examples of theatre workers from different times and eras openly, bravely making their moral statements as members of the human race.

"Giraudoux was one of the first amongst the French artists, creators who saw the changes in Germany's politics. In the Siegfried cycle (novel *Siegfried and Limousine*, two versions of the play *Siegfried Von Kleist*) Giraudoux predicts the danger of a possible, expected armed conflict and fights against war, violence and fanatic chauvinism.... He is trying to prove that the unity of culture and civilization is possible...."[4] Now, this is happening in the first half of the 20th century, in France, in Jean Giraudoux's[5] works. This writer and thinker, just like other representatives of the French intellectual drama movement, had deep spiritual connections to ancient legacy. They would create their own, original stories based on ancient Greek mythology, legends. And it seemed like a tale that is known to everyone and has been everywhere acquires a new sound at the author's will. Giraudoux is trying to make the viewer or reader focus on moral problems. It is not rare that relevant political topics appear in the spotlight of his works. The writer pushes our attention towards longing for power that is common to the human race. Giraudoux sees the main purpose of theatre in at least creating an illusion of beauty and happiness to relieve the people, get rid of everyday misery and danger for at least a few minutes."[6]

The play The Trojan War Will Not Take Place was written in 1935, four years prior to World War II (1939-1945). Giraudoux fully understands that the world is standing against a global catastrophe, an irreversible apocalypse with indescribable destructive power. Upon first approach, we see that the action in this play takes place in ancient times. But the straightforward parallel to modernity is so impressive that there are no more doubts in anyone's head about the inarguable truth: ancient Troy is facing an unavoidable danger of war, just like France in the 1930s, during Giraudoux's time. "It is well known that one of the common traits that the representatives of the French intellectual drama movement share is the interest towards ancient stories, which is quite natural, if we take into account the unusual interest that the literature of the 20th century showed towards mythos. Unlike novelists, who would create the myth themselves, French playwrights would not poeticize it, but transform it in modern style. Ancient mythos is an eternally living source, beginning and a universal scheme of symbols for them, which can be

4 Ghoghoberidze, Jean, Essays. Tbilisi, 1989. Page 28.

5 French writer, diplomat (1882-1944), participant of World War I (1914-1918), received the highest award in France, Member of The National Order of League of Honor. His literary works include: "Provinciales" (1909), "Jacques-Egoist" (1910), "L'ecole des Indifferents" (1911), "Siegfried et le Lemousine" (1922), "Le Menteuse" (Published after the author's death, 1958). He wrote the following plays: "Siegfried" (1928), "Amphitryon 38" (1929), "Judith" (1931), "Intermezzo" (1933), "The Trojan War Will Not Take Place" (1935), "L'impromptu de Paris" (1937), "Electra" (1937), "Song of Songs" (1938), "Ondine" (1939), "Grakhouses" (1941), "The Madwoman of Chaillot" (1942), "Sodom and Gomorrah" (1943). A few films were shot based on Giraudoux's screenplays, amongst them was "Angels of The Streets" (1943).

6 Ghoghoberidze, Jean, Essays. Tbilisi, 1989. Page 17.

given a form and the thoughtful undertone that is common to modernity."[7]

In general, intellectual drama turns the intense dispute between the characters into the most important event. During this argument, a picture of a confrontation, a clash of interests and positions is shown to the viewer. Both sides usually have their own, solid arguments to prove their truth. In Giraudoux's play *The Trojan War Will Not Take Place*, the mythical character of Hector[8], also found in Homer's *The Iliad*, is trying to save his motherland, Troy, from the unavoidable war at any cost. But he has many enemies. He is going against other citizens who are possessed with faux patriotism and excited for a war, firmly believing that Troy must definitely fight against Greece, or else their dignity will be violated. Anyone with a different opinion is definitely a coward and a traitor to the motherland. But Hector does not hold back. He even tries to negotiate with the Greek ambassador. His position is not fully understood by his family either. In this unfair battle, Hector is completely alone. He has to bear with numerous insults, because he knows there is no alternative to peace; War will destroy his motherland, Troy forever. Amongst his compatriots only he realizes and comprehends fully that the war cannot take place under any circumstances.

"War is a disaster and a crime, which consists of every disaster and every crime"[9] These words were said by Voltaire[10]. I think that they evaluate the event that humanity calls war quite succinctly, but also comprehensively. Truly, for the human race it is a disaster and a crime against society at the same time. The results of it are almost impossible to predict beforehand. I am talking about not only humanitarian, but also the material-economic catastrophe. When a war takes the world by storm, we are not only left with ruins and cemeteries. The scars that are left in the hearts and minds of the ones who survived are also extremely tragic. Many of them are unable to escape this trauma for the rest of their lives.

REFERENCES:

- ბუხრიკიძე დ., რაც დედებს უნდათ, ჟურნალი„ლიბერალი", 17.12.2015.
- ჟურნალი „გზა", №18, 05.05.2022.
- ღოღობერიძე ი., ჟან ჟიროდუს ინტელექტუალური თეატრი, ესეები თანამედროვე საზღვარგარეთულ ლიტერატურაზე - თანამედროვე დასავლური დრამა (ჟან ჟიროდუ, ედუარდ ოლბი, ედუარდ ბონდი), ნიკო ყიასაშვილის რედაქციით, თბილისი, 1989.
- ჭავჭავაძე ი., ახალი დრამების გამო, წერილები თეატრზე, თბ., 2021.

7 There. Pages 24, 25.

8 The oldest son of the Trojan king Priam. The heir. It must be mentioned that Hector means "conqueror". He was one of the most outstanding, braves warriors and commanders of the mythical-legendary war of Troy. He was leading the army of Troy (10 000 soldiers) and the army of allies, where there were lots of hired soldiers (40 000 warriors). They were battling against Greeks (100 000 soldiers) lead by Agamemnon. According to the legend, Hector was not only a man built like a goliath having a huge amount of physical strength, but also had a very sharp brain and a strategic talent. Because of this, with him being the leader, the Trojans (With allies) managed to stand, in an unfair battle against the enemy who was outnumbering them with a huge difference. They not only protected their city-state for 9 years, but counterattacked several times and according to Homer, killed approximately 31,000 Greek soldiers. Hector's mother was Hecuba. Brothers: Paris, Deiphobus and Helenus. Sisters: Creusa, Laodice, Polyxena, Cassandra, Iliona; Wife: Andromache. Children: Astyanax, Oxonius, Laodamas, Amphinius. Hector killed Patroclus, friend of Achilles. This is why Achilles challenged him into a battle. Only with the help of the gods he managed to kill Hector. After that, he tied his body to his battle chariot and dragged it for a long time.

9 Journal "Gza" (The road), #18, 05.05.2022.

10 His real name is Francois Marie-Arouet (1694-1778). French philosopher, educator, poet, novelist, satiric, publicist, tragician, historian. No one knows the true origin of the pseudonym Voltaire. Researchers are discussing different versions of where it came from. He has written 28 tragedies. Amongst them are: "Oedipus" (1718); "Brute" (1730); "Zaire" (1732), "Caesar" (1735), "Alzire" (1736), "Mohammad" (1741), "Merope" (1743), "Semiramis" (1748), "Rome Rescued" (1752), "A Chinese Orphan" (1755), "Tancrede" (1760). Voltaire is the author of several philosophical works. Amongst them must be mentioned: "Zadig" (1747), "Candide" (1759), "Traite sur la Tolerance" (1763), "What do Women Like?" (1764), "Philosophical Dictionary" (1764), "La Princesse de Babylone" (1768). It is well known that Voltaire was very interested in chess and loved playing it very much.



1. ჟან ჟიროდუ (1882-1944)
JEAN GIRAUDOUX (1882-1944)



2. არისტოფანე (ძვ.წ.V-IV ს.ს.)
ARISTOPHANES (4th-5th CENTURIES B.C.)